საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1693-01-2-201904151204

N 01/1693
15/04/2019

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს,
ბატონ დავით ქუტიძეს
info@factcheck.ge

ბატონო დავით,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2019 წლის 22 მარტს შემოსული თქვენი 2019 წლის 19 მარტის №63 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად, პირველ ეტაპზე 2 (ორი) ზოლი, ხოლო მეორე ეტაპზე უნდა მომხდარიყო მისი 4-ზოლიანად მოდერნიზაცია, დაფუძნებულია იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკის (JBIC) მხარდაჭერით 2008 წელს განხორციელებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე. კვლევა განხორციელდა საერთაშორისო კომპანიებისაგან შემდგარი კონსორციუმის (EXE-Idea Ltd., PADECO Co. Ltd. და Construction Project Consultant's Inc.) მიერ.

გასათვალისწინებელია, რომ საავტომობილო გზის პარამეტრების შერჩევისას ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს წლიური საშუალო სადღეღამისო მოძრაობის დაყვანილი ინტენსივობა. 2-ზოლიანი საავტომობილო გზის დაყვანილი გამტარუნარიანობა შეადგენს დღე-ღამეში 14 000 (თოთხმეტი ათასი) ავტომობილს. 2008 წლის კვლევის თანახმად, პროგნოზირებული საშუალო წლიური სადღეღამისო მოძრაობის დაყვანილი ინტენსივობა 2020 წლისათვის გადააჭარბებდა 12 000-ს (თორმეტი ათასი), რა დროისთვისაც დადგებოდა საავტომობილო გზის 4-ზოლიანად მოდერნიზების საჭიროება, შესაბამისად, პირველივე ეტაპზე 4-ზოლიანი მაგისტრალის მშენებლობა ეკონომიკურად არ იყო მიზანშეწონილი დონორი ორგანიზაციის მიერ.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის შემოვლითი გზის პროექტის განხორციელება, როგორც ზემოთ აღინიშნა, გათვალისწინებული იყო ეტაპობრივად, საავტომობილო ნაკადების ზრდის შესაბამისად. ქუთაისის შემოვლითი გზის 2-ზოლიანი მონაკვეთის მშენებლობის შემდგომ, აღნიშნულ მონაკვეთზე 2015-2016 წლებში მნიშვნელოვნად იმატა ავტოტრანსპორტის დაყვანილმა ინტენსივობამ, რომელმაც მიაღწია 10 000 (ათი ათასი) ავტომობილს, ასევე, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მზარდი მაჩვენებლების შედეგად დღის წესრიგში დადგა მეორე ზოლის მშენებლობის აუცილებლობის საკითხი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო ტვირთების და მგზავრთა ნაკადის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფისათვის.

ამასთან, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №811 განკარგულების ფარგლებში, დეპარტამენტს დაევალა ქუთაისის შემოვლითი გზის მეორე ზოლის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტის მოსამზადებლად შესაბამისი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა. 2017 წლის 25 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება გამარჯვებულ კომპანია შპს „საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ ტრანსპროექტთან“ აღნიშნული კვლევის მომსახურების გაწევაზე, რის საფუძველზეც დადგინდა პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა, დამუშავდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე.

გასათვალისწინებელია, რომ ქუთაისის შემოვლითი გზა - სამტრედიის მონაკვეთის 4-ზოლიანი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პროექტის მოდერნიზების სამუშაოები დაყოფილია ოთხ ლოტად: ლოტი I - კმ0+000 - კმ6+000; ლოტი II - კმ6+000 - კმ13+400; ლოტი III - კმ13+400 - კმ30+000 და ლოტი IV - კმ30+000 - კმ41+354. ამასთან ლოტებზე I - კმ0+000 - კმ6+000, ლოტი II - კმ6+000 - კმ13+400 და ლოტი IV - კმ30+000 - კმ41+354 სამუშაოებს ახორციელებს სამშენებლო კომპანია შპს „ბლექ სი გრუპი“, რომელთანაც სამივე ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წლის 26 დეკემბერს, ხოლო ლოტს III - კმ13+400 - კმ30+000 - ღსს „სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკკორდი“, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წლის 28 დეკემბერს.

ზემოაღნიშნული მოდერნიზების სამუშაოები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტით, ხოლო თითოეული ლოტისათვის გათვალისწინებული სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებებია: ლოტი I - 55 918 486.99 (ორმოცდათხუთმეტი მილიონ ცხრაას თვრამეტი ათას ოთხას ოთხმოცდაექვსი ლარი და ოთხმოცხაცხრამეტი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით; ლოტი II - 55 149 999.96 (ორმოცდათხუთმეტი მილიონ ას ორმოცდაცხრა ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით; ლოტი III - 46 430 364.95 (ორმოცდაექვსი მილიონ ოთხას ოცდაათი ათას სამას სამოცდაოთხი ლარი და ოთხმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით; ლოტი IV - 42 755 757.94 (ორმოცდაორი მილიონ შვიდას ორმოცდათხუთმეტი ათას შვიდას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ქუთაისის შემოვლითი გზა - სამტრედიის მონაკვეთის 4-ზოლიან ავტომაგისტრალად მოდერნიზების სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის 3 იანვრის ჩათვლით პერიოდი.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი